

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინსტიტუტ ტექნიკური სამეცნიერო პერსონალის  
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

**მთავარი მეცნიერი თანამშრომელი**

**მთავარ მეცნიერთანამშრომელმა უნდა იცოდეს:**

შესაბამისი განყოფილების სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები;  
ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;  
სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარებისთანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

**მთავარ მეცნიერთანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:**

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისაწამყვანადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ან საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენციის შრომებში, ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო მიმართულების შესაბამისად.

**უფროსი მეცნიერი თანამშრომელი**

**უფროს მეცნიერთანამშრომელმა უნდა იცოდეს:**

საქართველოსა და უცხოეთში განყოფილების თემატიკით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიების შესახებინფორმაცია;  
კვლევა-ძიების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები.

**უფროს მეცნიერთანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:**

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისაწამყვანადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში ან საერთაშორისოსამეცნიერო კონფერენციის შრომებში, ინსტიტუტის განყოფილების სამეცნიერო მიმართულების შესაბამისად.

**მეცნიერი თანამშრომელი**

**მეცნიერთანამშრომელმა უნდა იცოდეს:**

შესაბამის განყოფილებაში მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიების მიზნები და ამოცანები;  
საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებინფორმაცია;  
მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.  
გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 1 ან მეტი სამეცნიერო ნაშრომი.